ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
№ 24-220101

ქ. თბილისი 22 იანვარი 2024 წელი

ერთის მხრივ სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო" (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის ლაშა გუნიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „კავკასუს მოტორსი" (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ამაშუკელის სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე (SMP240000129), დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" - (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია" - (შემდგომ „შემსყიდველი") ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ბალანსზე რიცხული 5 ერთეული ელექტრომობილის ტექნიკური მომსახურება (შემდგომში - მომსახურება) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2.2. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: CPV 50112000.

2.3. გასაწევი მომსახურებისა და სათადარიგო ნაწილების ერთეულის ფასები მოცემული ფასების ცხრილში (პრეისკურანტი), რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას დანართი №1-ს სახით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **10000 (ათიათასი)** ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, დაკავშირებულს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა მიერ ხელმოწერიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელიც დასტურდება მხარეების ან მათი წარმომადგენლების (უფლებამოსილი პირების) ხელმოწერით.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს თანამშრომლები.

6. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

6.1. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის მე-12 კმ.

6.2. მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველის უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს შესყიდვის მახასიათებლების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

ბ) რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, აცნობოს და მოსთხოვოს მიმწოდებელს ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორება;

გ) მოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისერი შესრულება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულება;

ბ) მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ნივთობრივად უნაკლო და ახალი სათადარიგო ნაწილი.

გ) შესყიდვის ობიექტის ჩაბარებისას, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე რაიმე ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მისი არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

დ) შემსყიდველის მიმართვისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა ჩაატაროს ავტოსატრანსპორტო საშუალების დათვალიერება, რის შემდგომაც მხარეები ადგენენ დეფექტურ აქტს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გასაწევი მომსახურების, სათადარიგო ნაწილების, ასევე საცხებ-საპოხი მასალების დეტალური აღწერა და მათი ღირებულება.

ე) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა დეფექტური აქტის შედგენიდან არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდა ძრავის კაპიტალური რემონტის ჩატარება ან დეფიციტური ნაწილის მიწოდება, შესაძლებელია განისაზღვროს მომსახურების გაწევის გონივრული ვადა შემსყიდველთან შეთანხმებით.

8. გარანტია

8.1. ავტომანქანების შეკეთებისა და მომსახურებისათვის გამოყენებული სათადარიგო ნაწილები უნდა იყოს ახალი, ქარხნული, ხარისხიანი და არ ავლენდეს დეფექტებს.

8.2. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, ექსპლუატაციის ნორმების დაცვის პირობებში, დეფექტების გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში განახორციელოს წუნდებული საქონლის გამოცვლა შესაბამისი მომსახურებით შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

9.2. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1 %-ს ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ნაწილობრივი შესრულების ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 5%-ს ოდენობით.

9.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი

შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. შეტყობინების განხორციელება

12.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

12.2. ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მხარეთა უფლებამოსილი პირები არიან: შემსყიდველის მხრიდან - ლაშა პაპელიშვილი (ტელ.: 599 88-88-96, ელ. ფოსტა: lpapelishvili@lta.gov.ge); მიმწოდებლის მხრიდან - თენგო ჯოხაძე (ტელ.: 577 73-56-56, ელ. ფოსტა: (T.Jokhadze@Mitsubishi.ge).

12.3. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

12.4. მიმწოდებელი ვალდებულია, წინამდებარე მუხლში მითითებული მონაცემების ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაგზავნილი ინფორმაცია ჩაითვლება სათანადო წესით მიწოდებულად.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. დამატებითი პირობები

14.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

14.2. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

შემსყიდველი:
სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო
მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16
საიდ. კოდი: 205297935
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში №707217057

დირექტორის მოადგილე
ლაშა გუნია

Lasha Gunia 01025010715
Digitally signed by Lasha Gunia
Date: 2024.01.22 12:39:05

მიმწოდებელი:
შპს „კავკასუს მოტორსი“
მის.: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №197
საიდ. კოდი: 436031768
ბანკი: სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE10TB7129636020100001

დირექტორი
გიორგი ამაშუკელი

CAUCASUS MOTORS LLC
Digitally signed by CAUCASUS MOTORS LLC
Date: 2024.01.22 14:41:15 +04'00'

პრეისკურანტი
მარკა/მოდელი: Mitsubishi I-MIEV
გამოშვების წელი: 2010 - 2011

№	სათადარიგო ნაწილის დასახელება	გ/ე	ერთეული სათადარიგო ნაწილის ფასი	ერთეული მომსახურების ფასი	საგარანტიო პირობა (ვადა/გარბენი)
1	კონდიციონერის ფილტრი	ცალი	170.00	10.00	-
2	ელექტრო ძრავის წინა სადები	ცალი	660.00	40.00	-
3	ელექტრო ძრავის უკანა სადები	ცალი	350.00	40.00	-
4	წყლის რადიატორი	ცალი	1650.00	100.00	2 წელი
5	ავტომატური გადაცემათა კოლოფის ზეთი	ლიტრი	35.00	30.00	1 წელი ან 40 000 კმ
6	კონდიციონერის რადიატორი	ცალი	1300.00	130.00	2 წელი
7	კონდიციონერის კომპრესორი	ცალი	10050.00	250.00	1 წელი ან 100 000 კმ
8	ელექტრო დიაგნოსტიკა	ცალი	0.00	36.00	-
9	გაგრილების სისტემის პროპელერი	ცალი	130.00	50.00	2 წელი
10	გაგრილების სისტემის პროპელერის მოტორი	ცალი	1070.00	60.00	1 წელი ან 100 000 კმ
11	საქარე მინის მწმენდის მატორი	ცალი	250.00	70.00	2 წელი
12	გადაცემათა კოლოფი	ცალი	9200.00	350.00	1 წელი ან 100 000 კმ
13	გადაცემათა კოლოფის ჩობალი	ცალი	60.00	100.00	1 წელი ან 40 000 კმ
14	გადაცემათა კოლოფის სელექტორი	ცალი	350.00	120.00	1 წელი ან 40 000 კმ
15	წინა სამუხრუჭე დისკი	ცალი	600.00	20.00	10 000 კმ
16	წინა სტუპიცის საკისარი	ცალი	220.00	80.00	1 წელი ან 60 000 კმ
17	წინა სტუპიცა	ცალი	290.00	80.00	1 წელი ან 60 000 კმ
18	უკანა სამუხრუჭე ხუნდების ხუფი	ცალი	490.00	20.00	2 წელი
19	უკანა სტუპიცა	ცალი	280.00	100.00	1 წელი ან 60 000 კმ
20	უკანა სტუპიცის საკისარი	ცალი	280.00	100.00	1 წელი ან 60 000 კმ
21	უკანა ყუმბარა შიდა - გარე	ცალი	2720.00	100.00	10 000 კმ
22	შიდა ყუმბარა	ცალი	1580.00	120.00	10 000 კმ
23	შიდა ყუმბარის პილნიკი	ცალი	160.00	120.00	10 000 კმ
24	გარე ყუმბარის პილნიკი	ცალი	160.00	120.00	10 000 კმ
25	საბურავის შპილკა	ცალი	15.00	15.00	-
26	საბურავის გაიკა	ცალი	15.00	15.00	-
27	საბურავის დისკი	ცალი	1180.00	25.00	-
28	საბურავის დისკის ხუფი	ცალი	30.00	5.00	-
29	საბურავის წნევის სენსორი	ცალი	300.00	60.00	-
30	საბურავის დაშლა, აწყობა, ბალანსირება	ცალი	0.00	15.00	-
31	წინა გიტარა	ცალი	620.00	30.00	2 წელი

32	წინა სარავოის პილნიკი	ცალი	40.00	40.00	1 წელი ან 60 000 კმ
33	წინა სტაბილიზატორის რეზინა	ცალი	35.00	15.00	1 წელი ან 40 000 კმ
34	წინა სტაბილიზატორის ლინკა	ცალი	230.00	15.00	10 000 კმ
35	წინა ამორტიზატორი	ცალი	800.00	70.00	1 წელი ან 60 000 კმ
36	წინა ამორტიზატორის ლიმონჩიკი	ცალი	60.00	70.00	1 წელი ან 60 000 კმ
37	წინა ამორტიზატორის სადები (ჩაშკა)	ცალი	70.00	70.00	1 წელი ან 60 000 კმ
38	უკანა ამორტიზატორი	ცალი	280.00	30.00	1 წელი ან 60 000 კმ
39	წინა წერო	ცალი	560.00	50.00	2 წელი
40	წინა რაზვალის ბოლტი	ცალი	25.00	10.00	2 წელი
41	უკანა ბალკა შტანგებით	ცალი	1700.00	250.00	2 წელი
42	უკანა შტანგა	ცალი	350.00	30.00	2 წელი
43	ბალანსირის შტანგა	ცალი	160.00	30.00	2 წელი
44	მუხრუჭის ტროსი	ცალი	170.00	80.00	2 წელი
45	წინა სამუხრუჭე ხუნდები	ცალი	240.00	20.00	10 000 კმ
46	სუპორტის რემკომპლექტი	ცალი	60.00	40.00	1 წელი ან 40 000 კმ
47	წინა სუპორტის პორშინი	ცალი	130.00	40.00	1 წელი ან 80 000 კმ
48	უკანა სამუხრუჭე ხუნდები	ცალი	230.00	50.00	10 000 კმ
49	უკანა სამუხრუჭე ხუნდების ცილინდრი	ცალი	305.00	50.00	1 წელი ან 80 000 კმ
50	უკანა სამუხრუჭე ხუნდების სარეგულირო ძელი	ცალი	190.00	50.00	2 წელი
51	მუხრუჭის ვაკუუმის ტუმბო	ცალი	1980.00	150.00	2 წელი
52	ABS - სენსორი	ცალი	810.00	40.00	2 წელი
53	სამუხრუჭე სისტემის მოდულატორი	ცალი	7760.00	200.00	1 წელი ან 60 000 კმ
54	რულის აირბაგი	ცალი	3100.00	50.00	2 წელი
55	მგზავრის აირბაგი	ცალი	3300.00	70.00	2 წელი
56	რულის შლეიფი	ცალი	560.00	100.00	2 წელი
57	ავტომობილის პულტი	ცალი	2960.00	40.00	1 წელი ან 80 000 კმ
58	საჭის ღერძი	ცალი	850.00	200.00	2 წელი
59	საჭის მექანიზმი	ცალი	6100.00	280.00	1 წელი ან 100 000 კმ
60	უდარნი ტიაგა	ცალი	230.00	30.00	1 წელი ან 60 000 კმ
61	უდარნის პილნიკი	ცალი	110.00	30.00	1 წელი ან 60 000 კმ
62	ნაკანეჩნიკი	ცალი	100.00	20.00	1 წელი ან 60 000 კმ
63	უკანა ნისლსაწინააღმდეგო ფარი	ცალი	250.00	20.00	2 წელი
64	წინა ძარის დამცავი	ცალი	80.00	10.00	2 წელი
65	ელექტრო ბატარიების დამცავი წინა	ცალი	800.00	30.00	2 წელი
66	ელექტრო ბატარიების დამცავი უკანა	ცალი	620.00	30.00	2 წელი
67	გასაღები	ცალი	450.00	150.00	2 წელი
68	დინამოს ჩოთქები	ცალი	100.00	200.00	-

69	წინა კარის მინა	ცალი	330.00	60.00	2 წელი
70	უკანა კარის მინა	ცალი	250.00	80.00	2 წელი
71	შუშის ამწევი მექანიზმი წინა	ცალი	250.00	60.00	1 წელი
72	შუშის ამწევი მექანიზმი უკანა	ცალი	920.00	80.00	1 წელი
73	საბარგულის მინა	ცალი	1650.00	150.00	2 წელი
74	წინა ბამპერის მიცუბიშის ლოგო	ცალი	110.00	10.00	2 წელი
75	უკანა საბარგულის მიცუბიშის წარწერა	ცალი	140.00	10.00	2 წელი
76	უკანა საბარგულის "IMIEV" წარწერა	ცალი	205.00	10.00	2 წელი
77	უკანა საბარგულის მიცუბიშის ლოგო	ცალი	100.00	10.00	2 წელი
78	მარცხენა სარკე	ცალი	850.00	30.00	2 წელი
79	მარჯვენა სარკე	ცალი	850.00	30.00	2 წელი
80	მარცხენა სარკის შუშა	ცალი	200.00	20.00	2 წელი
81	მარჯვენა სარკის შუშა	ცალი	200.00	20.00	2 წელი
82	მარცხენა სამზეური	ცალი	140.00	15.00	2 წელი
83	მარჯვენა სამზეური	ცალი	140.00	15.00	2 წელი
84	სალონის სარკე	ცალი	150.00	10.00	2 წელი
85	წინა დამცავი ღვედი	ცალი	1500.00	30.00	2 წელი
86	უკანა დამცავი ღვედი	ცალი	800.00	30.00	2 წელი
87	წინა ფარი (კომპლექტში)	ცალი	6300.00	130.00	2 წელი
88	წინა ნისლსაწინააღმდეგო ფარი	ცალი	1000.00	20.00	2 წელი
89	მოხვევის მაჩვენებლის გვერდითა ფარი	ცალი	80.00	20.00	2 წელი
90	უკანა ფარი (კომპლექტში)	ცალი	1300.00	40.00	2 წელი
91	უკანა სანომრის მაშუქი	ცალი	60.00	20.00	2 წელი
92	უკანა რეფლექტორი	ცალი	60.00	30.00	2 წელი
93	წინა ფარის ნათურა (HB3)	ცალი	110.00	100.00	2 თვე
94	წინა ფარის მოხვევის მაჩვენებლის ნათურა	ცალი	15.00	100.00	2 თვე
95	წინა გაბარიტის ნათურა	ცალი	10.00	100.00	2 თვე
96	უკანა ფარის მოხვევის მაჩვენებლის ნათურა	ცალი	15.00	5.00	2 თვე
97	უკანა ფარის მუხრუჭის ნათურა	ცალი	15.00	5.00	2 თვე
98	ნისლსაწინააღმდეგო ფარის გაბარიტის ნათურა	ცალი	110.00	10.00	2 თვე
99	ნისლსაწინააღმდეგო ფარის ნათურა	ცალი	80.00	10.00	2 თვე
100	საქარე მინის ჩოთქი	ცალი	180.00	0.00	-
101	საბარგულის მინის საწმენდი ჩოთქი	ცალი	70.00	0.00	-
102	სიგნალი	ცალი	160.00	30.00	1 წელი
103	აკუმულატორი	ცალი	350.00	10.00	-
104	სალონის გამათბობლის ძრავი	ცალი	810.00	150.00	1 წელი
105	საბურავის შესაკეთებელი კომპლექტი	ცალი	340.00	0.00	-
106	საქარე მინის საწმენდი სითხე	ლიტრი	15.00	0.00	-
107	სამუხრუჭე სითხე (0.25 ლ)	0.25 ლიტრი	15.00	60.00	-
108	ფრეონი (100გ)	100გ	30.00	40.00	-
109	ზაჟიგალკის ბუდე	ცალი	160.00	30.00	-
110	საბურავების რეგისტრაცია	კომპლექტი	0.00	40.00	-
111	თვლების შეყრის კუთხის გასწორება	კომპლექტი	0.00	40.00	-
112	ელექტრო დამტენი	ცალი	2870.00	0.00	-
113	საბურავის შეკეთება	ცალი	0.00	20.00	-